ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3189226

ნომერი: AR1490665

თარიღი : 28.03.2017

გაცემის თარიღი : 07.04.2017

გაცნობის თარიღი : 07.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნატალია მუმლაძე პ/ნ 01017054295
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 13/19

ორგანიზაცია:
- შპს"დემაქს დიღომი" კოდი: 405171610

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.01.2017წ. №3051283 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28.03.2017 წლის №AR1490665 განაცხადით მომართეს ნატალია მუმლაძემ, ანტონიდა სვანიძემ, გიორგი მერაბიშვილმა, ლევან შელიამ, ნიკა მერაბიშვილმა და იუნის მამედოვმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 25.01.2017წ. №3051283 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 30.12.2016წ. №3027355 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე, შპს "მეგობრობა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.014.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებლი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი. ხოლო სამსახურის 25.01.2017წ. №3051283 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 25.01.2017 წლიდან 25.04.2019 წლის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "მეგობრობა" (205182577).

წარმოდგენილი განაცხადით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 25.01.2017წ. №3051283 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება და დამკვეთად, შპს "მეგობრობა"-ს ნაცვლად, შპს „დემაქს დიღომი“-ის დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882017223719; მომზადების თარიღი: 24/03/2017 13:53:01) მიხედვით, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: #01.10.06.014.001) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „დემაქს დიღომი“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია -B17038186, მომზადების თარიღი: 30/03/2017 15:14:02) შპს „დემაქს დიღომი“-ის დირექტორები არიან ლევან შელია (01024019731) და ალმოუმენ, აბდულმაჯეედ აბდულლაჰ მ, საუდის არაბეთის სამეფო (T319174). ლევან შელია და ალმოუმენ, აბდულმაჯეედ აბდულლაჰ მ-ის წარმომადგენელი - იუნის მამედოვი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 170329328, თარიღი: 31.03.2017წ), თანაგანმცხადებლებად არიან დარეგისტრირებულნი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „დემაქს დიღომი“-ის საკუთრებას, რომლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები სამსახურს მომართავენ დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „დემაქს დიღომი“-ის დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.01.2017წ. №3051283 ბრძანებაში და დამკვეთად შპს "მეგობრობა"-ს ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „დემაქს დიღომი“ (ს/კ კოდი: №405171610). სამსახურის 25.01.2017წ. №3051283 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.01.2017წ. №3051283 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.